

სარეკომენდაციო წერა ფიზიკაში მე-8 კლასი

5.07.2023

(მაქსიმალური ქულა 20 ქულა)

1. ბოთლი, რომლის მოცულობაა $1,2 \text{ დმ}^3$ სავსეა მზესუმზირის ზეთით. ბოთლის და ზეთის მასა ერთად $1,19 \text{ კგ}$ -ია. გამოთვალეთ გლიცერინით სავსე ამავე ბოთლის მასა. მზესუმზირის ზეთის სიმკვრივეა 930 კგ/მ^3 , გლიცერინის 1200 კგ/მ^3 .
2. მაგნიტი, რომლის მასაა 100 გ , მიეკრა ფოლადის ფილას 12 ნ ძალით. მაგნიტსა და ფილას შორის ხახუნის კოეფიციენტია $0,2$. რა სიდიდის ვერტიკალურად მიმართული ძალით უნდა ვიმოქმედოთ მაგნიტზე, რომ მან თანაბრად ისრიალოს ზევით?
3. როცა ზამბარა ჰორიზონტალურად გაჭიმეს 10 ნ ძალით, მისი სიგრძე გახდა 16 სმ , ხოლო როდესაც მასზე დაკიდეს $1,5 \text{ კგ}$ მასის სხეული, მისი სიგრძე გახდა 20 სმ . რისი ტოლო იქნება ზამბარის სიგრძე, თუ მას ისევ ჰორიზონტალურად გაჭიმავენ 22 ნ ძალით?
4. ზიარჭურჭელში, რომლის მუხლების განიკვეთის ფართობია $1,5 \text{ სმ}^2$, ჩასხმულია ვერცხლისწყალი. ზიარჭურჭლის მარცხენა მუხლში ჩაასხეს 90 გ წყალი. რა სიმაღლეზე უნდა ჩაასხან მარჯვენა მუხლში ნავთი, თუ ვერცხლისწყლის დონე 1 სმ -ით მაღალია მარჯვენა მუხლში.
5. ავტომობილმა მთელი გასავლელი გზის პირველი ნახევარი იმოდრავა 40 მ/წმ სიჩქარით. გზის მეორე ნახევარზე დროის ნახევარში მოძრაობდა 50 მ/წმ სიჩქარით, ხოლო დარჩენილი დრო 70 მ/წმ სიჩქარით. განსაზღვრეთ საშუალო სიჩქარე მთელ გზაზე.

პასუხები:

1. $1,514 \text{ კგ}$.
2. $3,4 \text{ ნ}$.
3. $25,6 \text{ სმ}$.
4. $0,58 \text{ მ}$
5. 48 მ/წმ .